572/2
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-5965



1980 ივნისი №6

# დილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პიონერული სიმღერა

**ქ. გოგიაშვილი**

მოვდივართ ერთად,
შეკრულნი ჯარად,
ერთგულნი ქვეყნის,
სამშობლოს ფარად.
ვიმღერით ყველგან—
მთასა და ბარად:
ატომი?—არა!
ყუმბარა?—არა!
წყალბადი?—არა!
ომები კმარა!
მშვიდობა ბავშვებს
მარად და მარად!
მოვდივართ ერთად
ტოლები ჯარად,
გვეყო პაპებმა
რაც სისხლი ღვარეს.
ვიმღეროთ დღეს და
ვიმღერებთ ხვალაც:
ატომი?—არა!
ყუმბარა?—არა!
წყალბადი?—არა!
ომები კმარა!
მშვიდობა ბავშვებს
მარად და მარად!
მოვდივართ შვილნი
სხვადასხვა მხარის,
ჩვენ არ მოვაკლებთ
სამშობლოს ხალისს,
მტერს დავუხვდებით
ფოლადის ფარად.
შევძახებთ ერთად
მთაში და ბარად:
ატომი?—არა!
ყუმბარა?—არა!
წყალბადი?—არა!
ომები კმარა!
მსოფლიოს ბავშვებს
მშვიდობა მარად!



## დაჰკა დაფდაფებს!

**ჯანსუღ ჩიქაბაძე**

დაფ, დაფ,
დაფ, დაფ,
დაფდაფები
გუგუნებენ გარშემო,
ეს ქვეყანა,
ცა ნათელი
ჩვენთვის ბრწყინავს, ბავშვებო!
ალისფერი,
ლალისფერი
შერევია ოქროსფერს,
ოქტომბრელთა რაზმი მღერის:
გაუმარჯოს ოქტომბერს!
შუქი ქედებს შეფენილი
თითქოს გვიხმობს პატარებს.
რაზმო, სწორდი!
ჩვენ ლენინის
დიად სახელს ვატარებთ.
ჩვენთვის ნათობს ცა ნათელი,
მზეც ჩვენია, ბავშვებო!
დაფ, დაფ,
დაფ, დაფ,
დაფდაფებო,
იგუგუნეთ გარშემო!

მხატვარი **ჯემალ ლოლუა**



# თამუნია მეგობრობის მუზეუმში

ნათელა ფაილოძე

ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი მაკა ძალიან უყვარს თამუნიას — მას ბავშვები ყოველ კვირა დღეს სასეირნოდ მიჰყავს.

იმ კვირა დღესაც მაკამ ოქტომბრელები რუსთაველის პროსპექტზე გაასეირნა, შემდეგ კი მეგობრობის მუზეუმში წაიყვანა.

მუზეუმში უამრავი სტუმარი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან.

თამუნიას აუხსნეს, თბილისის მეგობრობის მუზეუმი ერთადერთია საბჭოთა კავშირში, ამიტომაც ჩამოდის აქ მოძმე რესპუბლიკებიდან ამდენი სტუმარი.

მუზეუმის დარბაზები ბავშვებს ექსკურსიამძღოლმა დალი დეიდამ დაათვალიერებინა.

აი, დიდ ფოტოზე გამოხატულია მუშაობისაგან დაკორძებული ხელები. ეს პირველი ხუთწლედის გმირის ხელებია. ასეთი ხელების აშენებულია სტალინგრადი თუ კომსომოლსკი, დნეპროჰესი თუ ზაჰესი!

დაღუპულ მებრძოლთა ოთახში დალი დეიდამ ოქტომბრელები მარიშბა არშბას სურათთან მიიყვანა — დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაეცა აფხაზი დედის, მარიშბას ოთხი ვაჟკაცით.

ოქტომბრელები მოწიწებით შესცქეროდნენ სხვა დაღუპულ მებრძოლთა დედების სურათებსაც.

აგერ ვახტანგმა სურათზე ტექსელის გმირებიც იცნო.

შემდეგ ბავშვებმა დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი პოეტების სურათები დაათვალიერეს. დალი დეიდამ ომში დაღუპული პოეტის მირზა გელოვანის ლექსიც წაუკითხა მათ, ურჩია კომკავშირულ — ქალაქ ბორის ძნელაძეში წადით, იქ ამ პოეტის ძეგლსაც ნახავთო.

მუზეუმში თამუნიამ და მისმა მეგობრებმა მელიკი მჟავანაძის ცხოვრების ამბავიც მოისმინეს.

დიდი სამამულო ომის წლებში მელიკი მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში ცხოვრობდა. სწორედ იმ დღეს, როცა მახარაძეში მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები ჩამოიყვანეს სამკურნალოდ, მელიკიმ ერთადერთი შვილის დაღუპვის ამბავი შეიტყო; მან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხაკო ორაგველიძეს სთხოვა, ერთ-ერთი დაჭრილი მოხავლელად მისთვის მიებარებინათ; ღვიძლი შვილივით უვლიდა უმცროს ლეიტენანტ ლავრენტიევს, გამოაჯანმრთელა, ფეხზე დააყენა და ფრონტზეც გააცილა. იმ ხნიდან მელიკის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა მათი დედაშვილური ურთიერთობა.

მუზეუმის ყველა დარბაზი შემოიარეს ოქტომბრელებმა. ასე ეგონათ, იმ დღეს მეგობრობაზე დაწერილი დიდი წიგნი გადაფურცლეს — გაეცნენ შალვა



მუნჯიშვილის, ფორე მოსული-შვილის, სიდორ კოვპაკის თანამებრძოლების—ვანო რეხვიაშვილისა და დავით ბაქრაძის, ძმების ლესელიძეების რაინდულ თავგადასავალს; იგრძნეს ყველა დარბაზში ჩამომდგარი საოცრად საზეიმო, მაგრამ სევდიანი განწყობილება. თამუნიამ აქ ასეთი ამბავიც შეიტყო. თურმე ერთი უგზოუკვლოდ დაკარგული შვილის მშობლებს, მაცხონაშვილებს, მუზეუმის ექსპონატები დაეხმარა, 30 წლის შემდეგ გაეგოთ შვილის ამბავი—მამას მუზეუმში გამოფენილ ერთ-ერთ სურათზე თავისი შვილი ეცნო-

35 წელი გავიდა ომის დამთავრებიდან, მაგრამ მეგობრობის მუზეუმის დარბაზებში ბავშვებმა ცხადლივ იგრძნეს იმდროინდელი ტკივილებიც, იმდროინდელი თავგანწირვაც; არასოდეს დაავიწყდებათ საბჭოთა კავშირის გმირის მფრინავ ჭიჭიკო ბენდელიანის, კაპიტან ბუხაიძის, არტილერისტ პირმისაშვილის, გერმანელთა რისხვის, მფრინავ წურწუმიას, გენერალ ლესელიძის და სხვათა გმირობის ამბავი.

...შინმობრუნებულებს დიდხანს ედგათ თვალწინ ფოტოსურათები, ტყვიით გახვრეტილი სისხლიანი წიგნები, რომლებსაც თურმე მეომრები ბრძოლის ველზე, ცეცხლის წვიმაში ჯიბით ატარებდნენ...

თამუნამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო დედას. თავის რვეულში კი ჩაწერა: „კვირას მეგობრობის მუზეუმი დავათვალიერეთ. ჩვენი ხელმძღვანელი მაკა ხაჭაპურიძე დაგვპირდა, რომ მომავალ კვირას ქალაქ ბორის ძნელაძეში წაგვიყვანს. რა კარგია!“

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თხუპნია

ნოდარ კაკელიძე

— უი, ჩემს თავს!—შეჰრცხადა ნუცა ბებომ, როდესაც ტალახში ამოსვრილი შვილიშვილი დაინახა,—ეგ რა მოგსვლია, ბიჭო, ეგრე სად ამოიზუნზლე?

— რა ვქნა, ბებო! აიტუზა ვახო,—ნათიას წყალში ბურთი გადაუვარდა და!

— მერე?

— იცი, როგორ ტიროდა? ისე შემებრალა, ისე შემებრალა!.. შევტოპე და გამოვუტანე!

— აღარ ვიცი, რა ვქნა!—ხელები გაასავსავა ნუცა ბებიამ,—ტყუილად კი არ შეგარქვეს თხუპნია! შენი ტანსაცმლის რეცხვას ვეღარ ავუდივარ. აბა, შეხედე გოგის, რა გაკოხტავებული დადის, როდისმე თუ გინახავს მოსვრილი? შენ რა გემართება?

— სამაგიეროდ გოგი არავის ეხმარება!—ჩაიბურტყუნა ვახომ,—ნათია კი ამბობს, ვაჟკაცები მუდამ ეხმარებიან გაჭირვებულებსო.

— ჰმ!—ჩაეცინა ბებიას,—გამოვიდა ყარამან ყანთელი! ვახო, იცოდე, თუ კიდევ გნახე ასეთ დღეში, შენს თავს გეფიცები, აღარც გაგირეცხავ და აღარც ახალ ტანსაცმელს გაღირსებ!

დაექადნა კი ნუცა ბებო ვახოს, მაგრამ მეორე დღეს მაინც ახალთახალი შარვალხალათი ჩააცვა და ეზოში ისე გაუშვა.

ვახო ცდილობდა ბებიას წინაშე პირი არ შეერცხვინა და ისეთს არაფერს გაჰკარებია, რომ დასვრილიყო. ერთხანს ეზოში იტრიალა, გასძახ-გამოსძახა თანატოლებს, მერე ორღობეში გადავიდა.

რამდენიმე სახლს გასცდა და ერთ ეზოში ძია ლავრენტი დაინახა—შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკაპიწებინა, ატალახებულ აყალო მიწის გროვაში ჩამდგარიყო და გულდაგულ ზელდა.

— გამარჯობა ძია ლავრენტი!—მიუახლოვდა ვახო გახვითქულ ლავრენტის.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვახოს გაუმარჯოს!—თბილად გაუღიმა ლავრენტიმ.

— მაგ მიწას ცომივით რომ ზელავ, რად გინდა?—დაინტერესდა ბიჭი.

— რად მინდა და თონე უნდა ჩავდგა, გამოვწვავ და მერე პურს დავაცხობთ. შოთი პური ხომ გიყვარს?

— ძალიან!—თავი დააქნია ვახომ.

— დღეს რა საზეიმოდ გამოწყობილხარ, რა მოხდა?—თვალი შეავლო ლავრენტიმ ბიჭის ტანსაცმელს.

— მამამ ჩამომიტანა ქალაქიდან!—ხელი დაისვა ვახომ ტანსაცმელზე.

ლავრენტი ტალახის ზელას განაგრძობდა და თან შუბლზე გამოჟონილ ოფლს საჩვენებელი თითით იწმენდდა.

— რამდენ ხანს უნდა ზილო, ძია ლავრენტი?—ჰკითხა ვახომ.

— ვიდრე კარგად არ აიზილ-დაიზილება,—თქვა ლავრენტიმ,—ძალიან კი გამაგრდა ეს ოხერი. ერთი შენს გაზრდას, აგერ ის შლანგი მომაწოდე, ცოტა შევარბილო, თორემ ფეხები დამამტვრია.

ლავრენტის სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ ვახო რეზინის შლანგისაკენ გაქანდა და ხელი დაავლო.

— მე დაგისხამ ძია ლავრენტი, ჰა?—ხომ შეიძლება?

— დაისვრები, ბიჭო! კეწკეწა ფეხსაცმელები არ გენანება?—გაუღიმა ლავრენტიმ,—ან ეგ ქათქათა ტანსაცმელი?

— არ დავისვრი, აი, ნახავ!

— აბა, მაშ მოდი!

ვახომ შლანგი წინ გაიშვირა, თავში თითები წაუჭირა და წყლის ჭავლი ტალახის გროვაზე მიუშვა.

— ოჰო, ჰო, ჰო! შენ კი გაიხარე, ვახო ბიჭო, გაჭირვების ტალკვესი არა ყოფილხარ!—წამოიძახა ძია ლავრენტიმ და გამალებით მოჰყვა აყალოს ზელას. ირგვლივ მალე ისეთი ჭყაპი დადგა, რომ ნუღარ იტყვით. საქმით გართული ვახო სკუპ-სკუპით ხან აქეთ მოექცეოდა აზელილ ტალახს და ხან იქით. ამ სკუპ-სკუპში ერთგან ფეხი დაუსხლტა და ტალახში წაპირქვავდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ძია ლავრენტიმ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო. ვახო ნირწამხდარი წამოიმართა და განზე გადგა.



— აუჰ!—წამოიყვირა ლავრენტიმ,—ეს რა დაგვემართა, კაცო? აფსუს შარვალ-ხალათო!

ვახოს ყელში ბურთივით მოებჯინა რაღაც, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა ტირილი არაფრით არ შეიძლებოდა, თავი შეიკავა, ცრემლი გადაყლაპა და ჩაიბურტყუნა:

— არა უშავს რა, გახმება!

ლავრენტიმ ხელდახელ გადაიბანა ხელ-ფეხი და ვახოს უთხრა:

— მოიცა ბიჭო, ახლავე რამეს გავახერხებ! ეგრე როგორ წახვალ შინ, რას იტყვიან! ჩემი ბიჭისას რამეს ჩაგაცმევ, მერე ამეებსაც გაგიმზადებთ და ჩამოგიტანთ!

მიდის გზად ვახო შარვლის ფართხაფურთხით, მიდის და ფიქრობს:

— ეგრე როგორ უნდა ვეჩვენო ბებიას! არა მკითხავს შენი ტანსაცმელი რა უყავიო? რა ვქნა, შემეცოდა ძია ლავრენტი. მაშ არ უნდა მივხმარებოდი? ნათია ხომ ამბობს, ვაჟკაცები მუდამ ეხმარებიან გაჭირვებულებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრაქტორები მინდვრად
ვიტალი ცხადაია. 12 წ.



ცეკვა
მამუკა მგალობლიშვილი. 7 წ.



ვაშა, ვაშა, გაზაფხულო!
პაატა წიკლაური. 9 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი აკაკი

ბავშვებო! თქვენ ყველას გაგიგონიათ ჩვენი ხალხისთვის საამაყო, ძვირფასი სახელი ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

ბევრმა ალბათ ზეპირადაც იცით მისი ლექსები ან მის მიერ თქვენოდენებისთვის გადმოქართულებული იგავარაკები.

აკაკის ბავშვობაზე კი იქნებ ცოტა რამ გაგიგონიათ.

წინათ ჩვენში ჩვეულება იყო: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ შვილებს, ერისთავები — აზნაურებს, თავადები და აზნაურები — გლეხებს.

პოეტის მამამ — თავადმა როსტომ წერეთელმაც გლეხის ოჯახში გააძიძავა შვილი. აკაკიმ სოფელ სავანეში აიდგა ფეხი, აქვე ამოიდგა ენა, აქ ის მოწმე იყო სოფლური საქმეებისა — იცოდა, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა; კიდევ ხვნა-თესვა, თოხნა, სხლვა... აქ გაუჯდა ძვალ-რბილში შრომის და სამშობლო მხარის სიყვარული, ყველა სულდგმულის სიბრალული, გულმტკივნეულობა, ბუნებათანაზიარობა.

ამიტომ იყო, რომ მერე თავის ნაწერებში გმობდა ნაცარქექიაობასა და უქნარობას — როგორც ნაცარია უმაქნისი, გამოუსადეგარი, ისეთივე უქმია უშრომელი კაცის ცხოვრებაო.

ზ მ ა

ის ყანა ცარიელია,
გინდა ეთესოს პურიო,
თუ რომ პატრონი არა ჰყავს,
რომ კარგად უგდოს ყურიო.

გ ა მ ო ც ა ნ ა:

- გინდ გასცერი, გინდ გამტკიცე,
კერიდანაც დასძარიო,
გინდ შეწვი და გინდ მოხარშე,
ის დარჩება, რაც არიო.

ბავშვობაში აკაკის, როგორც ქვეყანაზე ყველა ბავშვს, ძალიან უყვარდა თამაში, მაგრამ თქვენსავით ნაირ-ნაირი სათამაშოები კი არ ჰქონდა, თავისი ხელით გამოჩორკნილი ტაფა-რიკით, შვილდ-კოდალით თუ ბურთით ერთობოდა; დანასობიას ან კენჭაობას თამაშობდა; ხუხულა სახლებსა და ბელელ-სასიმინდე-წისქვილებს აშენებდა.

შვიდი წლისა იყო აკაკი, როცა სავანიდან მშობლიურ სოფელ სხვიტორში დააბრუნეს. დედა ცდილობდა არ გაენებივრებინა. თვითონ დიდი შრომისმოყვარე და გაჭირვებულის ხელის გამმართავი იყო და შვილებსაც სიკეთეს, შრომისმოყვარეობას, გულთბილობას უნერგავდა,





ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის უოველგვარ ბოროტებისაო“. ამიტომ დილით ისეთ დროს დგებოდნენ აკაკი და მისი და-ძმები, რომ „რიჟს არ დაესწრო და არ ეჭობნა“ მათთვის. მერე წიგნებს კითხულობდნენ და რომ მორჩებოდნენ, ამის შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი იყვნენ. დედა არც სიცივეს არიდებდა მათ, არც სიცხეს, არც დარსა და არც ავდარს.



„დილ-დილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიცხზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა, დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. ...ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენი სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ იქიდან ხუჭუჭი ამოგვსვლოდა“,—

ასე იგონებს აკაკი წერეთელი იმ დროს.

რვა წლისა აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. მაშინდელი სკოლა სულ არ გავდა ახლანდელს, საკმარისი იყო ბავშვს შეშლოდა რამე, ან გაკვეთილზე ქართულად ხმა ამოეღო, ან ეცემა, რომ წკეპლას უცხუნებდნენ ანდა სახაზავს მაინც დაჰკრავდნენ ხელის გულზე. კიდევ კარგი, ზოგჯერ მასწავლებლებს შორის, როგორც წყვდიადში სინათლის სხივი, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთები, ვინც ცდილობდა ბავშვებისათვის ავი და კარგი დაენახვებინა, სწორი რჩევა მიეცა...

გაიარა გიმნაზიის წლებმა. აკაკი რუსეთში წავიდა და პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა.

განათლება, ცოდნა დიდ ძალად მიაჩნდა მას, ისეთ ძალად, რომელიც დაორგუნავდა უსამართლობას, ბოლოს მოუღებდა ბატონყმობას (იმ დროს ჯერ კიდევ იყვნენ ბატონები და ყმები, მჩაგვრელები და ჩაგრულები)... აი, როგორი ლექსებით თქვა აკაკიმ სწავლის საკეთე:

სიბრძნე, ჭკუა და გონება
ქვეყნად ედემის ბაღია,
სწავლა და გამოცდილება
ხელსაწყო იარაღია.

უცნური დადის ბორკილით,
სახეზე აზის ლაქია,
სწავლულს წინ უძღვის გზა
ხსნილი

კარები სრული და ღია.
უსწავლელობა ბნელია,
სწავლა ნათელი და დღეა.

გამოცანა:

არც იხმება, არც იჭმება,
არც ხელით დასაჭერია,
თვითონვე ასმევს და აჭმევს,
კაცისთვის ყველაფერია.

ჩქარსათქმელი:

გონება განა განგებ
გამოგონებული გგონია,
გამოგონებული განგებ გონება
რა გონებაა.

როცა აკაკი საქართველოში დაბრუნდა, ბატონყმობა უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ ხალხს არც მეფის რუსეთის მოხელეთა ხელში ადგა უკეთესი დღე — ქართული ენა აკრძალული იყო, რუსული ხალხმა არ იცოდა და ჩინოვნიკები ღლეტდნენ და ცვეთდნენ, ვისაც კი მოერეოდნენ.

აკაკიმ ხალხის სასიკეთოდ დაიწყო მოღვაწეობა. ლექსებში, მოთხრობებში, გალექსილ თუ გაულექსავ ზღაპრებში და ამბებში, პოემებში, დრამატულ ნაწარმოებებში, სავაზეთო წერილებში ის საქართველოს განახლებას და მეცნიერებას ნატრობდა:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
. . . .
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამახარეო!

დიდი სიხარულით შეხვდა უკვე მხცოვანი აკაკი წერეთელი რუსეთში მეფის ხელისუფლების ხაწინააღმდეგო რევოლუციური მოძრაობის დაწყებას:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!

აკაკი 1915 წელს გარდაიცვალა და მომავლის იმედი წაჰყვა თან.

მისი ნანატრი მომავალიც მალე მოვიდა! დღეს კი მომავალი თქვენა ხართ და ხვალ თქვენი ჯერი დადგება, საქვეყნო საქმე აკეთოთ. თქვენისთანებზე ამბობდა დიდი მგოსანი, მივდივარ, მაგრამ

... „თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!“ — ო.




ციცინო გამყრელიძე

აკოშ ტორდონი



# მდიდარი კაცი და მერცხალი

რთ კრამიტით დახურულ ლამაზ სახლში მდიდარი კაცი ცხოვრობდა, მეზობლად, ისლით დახურულ პატარა ქოხში კი — ღარიბი. ღარიბის ოჯახში ლუმელი სადღესასწაულოდ თუ დაინთებოდა ხოლმე და მაშინაც ძლივს ბჟუტავდა, მდიდრის საკვამურიდან კი დღე და ღამე კვამლი ამოდიოდა.

— ღმერთს ყველაფერი მოუცია ჩემთვის, ჩიტის რძეც კი არ მაკლიაო! — დაიტრაბახებდა ხოლმე მდიდარი.

— ნახე, ჩვენი მეზობლის ჩარდახში მერცხლის ბუდეა, შენ კი გაიძახი, ყველაფერი მაქვსო! აბა, რატომ ჩვენთან არ გაიკეთა მერცხალმა ბუდე? — შეედავა ცოლი. — არაფერია, მაგ ბუდეს ახლავე ჩემსკენ გადმოვიტანო, — თქვა მდიდარმა და მეზობლისკენ გასწია. — რას გეტყვი იცი? შენი სახლის სახურავქვეშ ნამდვილად არ არის მერცხლის ბუდისათვის შესაფერისი ადგილი.

— ვითომ რატომაო? რას უწუნებ? ეს მერცხლის ბუდე ამშვენებს ჩემს სახლს, ჩემი სახურავიც იცავს ბუდეს მცხუნვარე მზისგან, ქარისა და წვიმისაგან.

— მე მაინც ვფიქრობ, ჩემი სახურავის ქვეშ აჯობებს ბუდის გადატანა.

— კარგიო, — დათანხმდა ღარიბი — წაიღე ბუდე, ოღონდ თუ მერცხალიც დაგყაბულდებაო.

ბუდის კიდეზე შემომჯდარი მერცხალი ფრთებს ისწორებდა. მდიდარი მიესალმა:

— გამარჯობა, მერცხალო! ჩემი სახლის ჩარდახის სიგანე შვიდი მტკაველი მაინც იქნება, იქ არ გირჩევნია? გადმოდი ჩემთან და იქ გაიკეთე ბუდე! თანახმა ხარ?

— მშვენიერი სახლი გაქვს მდიდარო კაცო, კარგი სახურავი და ჩარდახიც, მაგრამ მე მაინც აქ მირჩევნია, აქ დავრჩებიო! — მშვიდად მიუგო მერცხალმა.

— თუ ჩემთან გადმოხვალ, ყოველ დილით თითო ოქროს ჩაგიდებ ბუდეში, ჭიკჭიკით თუ დაგვატკბობ, — ორს!

— ძალიან მიყვარს აქაურობა, მაგრამ შემოდგომით მაინც მივფრინავ ხოლმე ზღვის გაღმა, თბილ ქვეყნებში. — ჩამოსჭიკჭიკა მერცხალმა, — სიმდიდრე რომ არა მაქვს, იმიტომ ვტოვებ ბუდეს ადვილად! რად მინდა შენი ოქროები!

— აი, ხომ ხედავ, მდიდარო, რა განძეულიც არ უნდა შესთავაზო, მაინც არ წამოვა შენთან! — გაიხარა ღარიბმა.

— სულელო ჩიტო! — გაჯავრდა მდიდარი, — მთელ ქვეყანას შემოვივლი და მაინც ვიპოვნი ისეთ მერცხალს, რომ ჩემთან იცხოვროს და მემსახუროს!

იარა, იარა მდიდარმა კაცმა, მთა-ბარი შემოიარა, მაგრამ ხარბი მერცხალი ვერსად იპოვა. ბოლოს, მეტი რომ აღარ შეეძლო, მღებავს დაახატვინა თავისი სახურავის ქვეშ უამრავი მერცხლის ბუდე და ერთი კი არა, ასი მერცხალი.

— ახლა კი ნამდვილად აღარაფერი გვაკლია! ყველაფერი გვაქვს! — უთხრა ცოლს და ამაყად ახედა დახატულ მერცხლებს.

მდიდრის სისულელეზე მზეს გაეცინა, მზის სიცილზე — ქარს, ქარისაზე — წვიმას, წვიმისაზე — ჩამოცვენილ ხის ფოთლებს, ფოთლებისაზე — ჩიტებს და ჩიტებისაზე — ზამთარს. ზამთარში მდიდრის ეზოში ერთი ბებერი, ბრმა ყვავი შეფრინდა, მაგრამ ისიც კი მიხვდა, რომ კედელზე დახატული მერცხლები ნამდვილი არ იყო. მიხვდა და სიცილი აუვარდა.

უნგრულიდან თარგმნა
**ლილი მაისურაძემ**

16.407

# რ ა ტ ო მ გ ვ ა შ ა ვ ე ბ ს მ ზ ე?



ბევრს აინტერესებს, რატომ არის, რომ ზამთარზაფხულ ზღვის სანაპიროზე და მთაში ადამიანს მზე ეკიდება. თუ მზის სიმხურვალე წვავს და აშავებს კანს, მაშინ რატომ წითლად გავარვარებული ღუმლის გვერდით ან ძალიან ძლიერი ელექტრონათურებით განათებულ ოთახში არ ვშავდებით?

საქმე ისაა, რომ მზის სხივები განსხვავდება სხვა სხივებისაგან.

აბა აიღეთ რაიმე ბროლის საგანი და მზეს შეუშვირეთ! მზის სხივი ბროლში გადატყდება და იატაკზე მრავალფერ ცისარტყელად აირეკლება.

სინათლის ამ ზოლს სპექტრს უწოდებენ. სპექტრი შვიდი ძირითადი ფერისაგან შედგება, მაგრამ მისი შემადგენელი სხივები თანდათან, შეუმჩნევლად ერწყმიან ერთმანეთს. გარდამავალი ფერის სხივები თვალით არ ჩანს, მაგრამ მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ, მაგალითად, წითელ სხივებს ინფრაწითელი სხივები მოსდევს, იისფერს — ულტრაიისფერი. გამოდის, რომ მზის სხივის ფერი მრავალი სხვადასხვა ფერის ნაერთია.

დამტკიცებულია, რომ კანს აშავებს ულტრაიისფერი სხივები, რომლებსაც მხოლოდ ძალზე გავარვარებული საგნები გამოასხივებს. ღუმელი ზოგჯერ ორიათას გრადუსამდე ხურდება, მაგრამ ეს ტემპერატურაც კი არ კმარა ულტრაიისფერი სხივების გამოსასხივებლად.

მზის სივარვარე კი გაცილებით მეტია და მზეც ამიტომ დიდძალ ულტრაიისფერ სხივებს გამოასხივებს. ამ სხივების დიდ ნაწილს ჰაერის მტვერი შთანთქავს. ამიტომ, ულტრაიისფერი სხივები ყოველთვის მეტია იქ, სადაც ჰაერი სუფთა და გამჭვირვალეა. ულტრაიისფერი სხივების გავლენით კანზე გამოიყოფა მოშავო-ყავისფერი ნივთიერება — პიგმენტები. ეს არის სწორედ, კანს რომ ფერს უცვლის და აშავებს.

ულტრაიისფერი სხივები აუცილებელია ადამიანისათვის. ისინი ხელს უწყობენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, ხოცავენ მიკრობებს.

მაგრამ ულტრაიისფერმა სხივებმა შესაძლოა დიდი ზიანიც მოუტანოს ადამიანს, მით უმეტეს, ბავშვებს — გამოიწვიოს კანის დამწვრობა, თავის ტკივილი, მაღალი სიცხე, ზოგჯერ კი სერიოზული დაავადებაც. ამიტომ მზის სხივებით მეტად ფრთხილად, ზომიერად უნდა ვისარგებლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარაქა

შაქრო სამადაშვილი

ნამწყემსარმა ნიკამ ძროხა შეათვალიერა და თქვა: ეს საქონელი დღე-დღეზეაო.

ლექსო დააფიქრა ამ სიტყვამ, რას ნიშნავს დღე-დღეზეო,—იკითხა.

— დღე-დღეზე იმას ნიშნავს, ჩემო კარგო, რომ ჩვენი ბარაქა (ბარაქა ძროხას ერქვა) მალე ხბოს მოიგებს.

— მოიგებს?!

— ჰო, გააჩენს.

— ბარაქა ჭრელია, ხბოც ჭრელი იქნება? — იკითხა თამრომ.

— შეიძლება კიდეც დაემსგავსოს დედას.

— რა ლამაზი ფუჩინა გვეყოლება!—გაეხარდათ ბავშვებს.

— მე ხშირ-ხშირად გემრიელ ბალახს მოვუტან!—თქვა ბიჭმა.

— მე ცივ-ცივ წყალს არ გამოვულევ!—ირწმუნებოდა გოგო.

...უთენია ამდგარ ნიკას ეზოში აღარც ძროხა დახვდა, აღარც ძაღლი. სასოფლო გზაზე გასასვლელი კარი ღია დარჩენილიყო და ეზოდან გასულ ბარაქას, როგორც ჩანს, მასთან დამეგობრებული მურაც თან გაჰყოლოდა.

ბევრი ეძება ნიკამ ძროხა და ძაღლი, მაგრამ ვერსად იპოვნა.

სამი დღის შემდეგ კი, საღამოხანს თანასოფლელმა ამბავი მოუტანა:

— კაცო, რამდენიმე დღეა ბარჯისხევში ყარაულობა მომიხდა, დილ-დილაობით თქვენს ძაღლს მე ვაჭმევ, ღამით კი ტყიდან მისი გაბმული ყეფა ისმის. რა ამბავია, რა უნდა ტყეში თქვენს მურას?!

მეორე დილით ადრიანად ნიკა ბარჯისხევში წავიდა, იქ აღმართს აჰყვა, აღმართმა ერთ დაბურულ ტევრს მიაყენა.

— მურა, მურია!—დაიძახა ნიკამ.

ძაღლი ყეფით მოვარდა, პატრონს გულზე აეფოფხა; მერე წინ გაუძღვა და მიწაზე წამოწოლილ ხბოსთან მიიყვანა. იქვე ბარაქა იდგა და ლამაზი, წყლიანი თვალებით თითქოს ანიშნებდა ნიკას, ნახე, როგორი ჭრელი შვილი მყავსო.



მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი




ბერძნების დაუშრეტელმა ფანტაზიამ მრავალზე მრავალი ლეგენდა და მითი შექმნა ოლიმპიური თამაშების წარმოშობის თაობაზე. ერთ-ერთი თქმულება მოგვითხრობს: სამი ათასზე მეტი წლის წინათ, საბერძ-



ნეთის სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ომებით შეშფოთებულმა ელადის მეფემ სპარტის მმართველს წინადადება მისცა საზავო ხელშეკრულება დაედოთ. იქ ნათქვამი იყო: საჭიროა შეწყდეს სისხლისღვრა, ომი და ნაცვლად ამისა ჩატარდეს დიდი სპორტული დღესასწაულები, რაც დააახლოებს ხალხს, სიყვარულსა და სიხარულს დაამკვიდრებს ბერძენთა შორისო.

ამის შემდეგ ყოველ მეოთხე წელს იმართებოდა ოლიმპიური თამაშები. ელადის მიწა წმინდა ადგილად გამოცხადდა. ხელშეკრულების ტექსტი კი იმ ბადროზე ამოკვეთეს, რომელიც პირველ ოლიმპიადაზე ყველაზე შორს იქნა გატყორცნილი.

თორმეტი საუკუნის განმავლობაში იმართებოდა ოლიმპიური თამაშები. ამ ხნის მანძილზე სამასჯერ მოეწყო ეს შესანიშნავი დღესასწაული. შემდგომ, როცა საბერძნეთი რომის ქვეშევრდომი გახდა, ერთ-ერთმა იმპერატორმა აკრძალა ოლიმპიადები.



მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ფრანგი პროფესორის პიერ დე კუბერტენის თაოსნობით ოლიმპიური თამაშები განახლდა. 1896 წელს ათენში გაიმართა პირველი ოლიმპიადა. შემდეგ ოლიმპიური თამაშები ჩატარდა პარიზში, ლონდონში, ბერლინში, სან-ფრანცისკოში, ჰელსინკში, მელბურნში, რომში, ტოკიოში, მიუნხენში, მონრეალში... წელს კი, ივლისში ოლიმპიური თამაშების



მასპინძელი მოსკოვი იქნება.

თვალი ადევნეთ, ბავშვებო, ოლიმპიადას, მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა ამ დიდ ასპარეზობას.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვყვები ზღაპარს

**გიორგი მეტრეველი**

ყური მიგდეთ, ვყვები ზღაპარს:
ზღარბმა ქვევრში
ხოკო დაფქვა...
ჭირი იქა, ლხინი აქა...
მელაკუდა ასუფთავებს
რკინიგზაზე კუდით ბაქანს,
ქატო იქა, ფქვილი აქა...
ზურამ ტყეში ვეფხვი მოკლა,
ჰაუ ბიჭო,
ხედავ, რა ქნა!..
ჭირი იქა, ლხინი აქა.
მეც გამთავრებ
ამ ჩემს ამბავს,
აღარ ვიცი მეტი,
რა ვთქვა...
ქატო იქა, ფქვილი აქა!

## მშვენებელი

**ევგენი ბართაია**

გადაიცვა დავითის
სამუშაო ხალათი.
საძირკველს ჭრის წერაქვით,
ხან იქით და ხან აქეთ.

მერე ასანთის კოლოფებს
ერთმანეთზე ალაგებს,
და აშენებს ლამაზად
„სოფლებსა“ და „ქალაქებს“.

## გიგი

**გივი ჭიჭინაძე**

გადამჯდარა
თოხზე გიგი,
მიჰყავს ცხენი
თოხარიკით.
არ გეგონოთ
თამაშში,
საქმე ელის
ყანაში.

## გამრჯე ბიჭი

ქალაქელმა
ცეროდენამ
ბაკში თხები
შემოდენა.
ბებო შუბლზე
ეამბორა:
— მოიყარე
ჩემოდენა!

მხატვარი ვაჟა გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენის გასატეხი

ალიხე, მალიხე, სალიხე, სიკინჭილიხე,
ხე — ვახური, ვარვალახე, მარიამხე, კვაწარახე.

## ჩემი ციცქა

ავთანდილ მეგრელიშვილი

აივანზე ერთი ციცქნა
გავახარე შუშში ციცქა.
კრწყავდი — ტანი აიზარა,
ნამდვილ ვაზად გადაიქცა.

## ანდაზები.

ისეთი ხიდი გასდე, შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროს.

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

კარგი ჭქენი — ქვას დადევი, გაიარე, წინ დაგხვდება.

## დათუნა და ფუტკარი

ერთ კეთილ დათუნას კბილი ასტკივდა. დადის დათვი ტყეში, ბურდღუნებს და ამტვრევს ტოტებს. არ შველის არაფერი. შეხვდა ცანცარა კურდღელი.

— რა დაგმართნიაო?

— კბილი მტკივა და ვკვდებიო, — შესჩივლა დათუნამ.

ცანცარა გაიქცა და სტაფილო მოუტანა, იქნებ გიშველოსო. არ ვჭამ სტაფილოს, სტაფილო რას მიშველისო, — აბურდღუნდა დათვი. გაიქცა კურდღელი და ზღარბს უთხრა, ჩვენს კეთილ დათუნას კბილი სტკივა, როგორმე ვუშველოთო. ზღარბმა ვაშლი და პანტა წამოიღო, — არც ამან უშველა. შეშფოთებულმა ზღარბმა და კურდღელმა მთელ ტყეს გააგებინეს. ჩვენს დათვს კბილი სტკივა, რამდენჯერ დაგვხმარებია გაჭირვების ჟამს, იქნებ ჩვენც დავეხმაროთო. შეწუხდნენ ცხოველები და ბრძენ ბუს მიაკითხეს. ბუმ თვალები დააბრიალა, ამოიხვნეშა და თქვა: დათვს ფუტკარმა უნდა უკბინოს ლოყაზე და მორჩებაო. დათვმა რომ ეს გაიგო, შეეშინდა.

— არ მინდა ფუტკრის კბენა, მირჩევნია კბილი მტკიოდესო.

ფუტკარი მაინც მიეპარა და უკბინა ლოყაზე. იტირა დათუნამ, გაუსივდა ლოყა. ცოტა ხანში კი ტკივილმა გაუარა.

ბებერი ბუ ტყის ცხოველთა ბევრ გასაჭირს შესწრებია. მან იცოდა, რომ ფუტკრის შხამი განმკურნავია.

ირმა წულეისკირი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი

შვეულად: 1. გარეული ცხოველი; 2. სხეული, ანუ?... 3. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 4. სიგრძის ერთეული; 7. ყვავილი; 8. ბალახი; 9. რაიონული ცენტრი საქართველოში; 10. გარეული ცხოველი; 13. შეჯიბრებისათვის განკუთვნილი დროის მონაკვეთი; 15. ლითონი; 16. ტბა ოსეთში; 17. მდინარეზე გადასასვლელი.

თარაზულად: 5. მაიმუნის ჯიში; 6. თივის გროვა, ანუ? 9. ბუნების მოვლენა; 11. ყვავილი; 12. მწვანილი; 14. ციმბირის მხარე; 18. რკინიგზის სადგური საქართველოში.



ასანთის 12 ღერისაგან აგებულია ოთხი ოთხკუთხედი. საჭიროა მათგან მიიღო 3 ტოლი ოთხკუთ-



ედი, ისე, რომ არცერთი ღერო არ მოაკლო და არც მიუმატო. როგორ მოიქცევი?

## თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ქართველი მწერლების გვარებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ: „ნატო ვაჩნაძე."

შეადგინა სამტრედიის რაიონის ნაბაკევის სკოლის მოსწავლემ **ინგა ნინუამ.**

## გამოცანა

**შოთა ამირანაშვილი**

ყველა ცხოველზე სწრაფია,<br>
მორბენალია პირველი,<br>
ფრთები აქვს, ფრენა არ იცის<br>
და მაინც ჰქვია ფრინველი.





## ჩიტო, რა გიხარია?

**იმერი ხარაძე**

გარეთ წვიმს და ქარია,
ჩიტო, რა გიხარია?
— ღამეს დილა მოჰყვება,
ავდარს—კარგი დარია!..

## ანაგრამა

ანაგრამა ნიშნავს სიტყვაში ასოების გადასმას ისე, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ. მაგალითად: „დილა—ადლი, ია—აი, ჯოგი—გოჯი"

ბავშვებო, გადააქციეთ ეს სიტყვები სხვა სიტყვებად:

**საათი, უბანი, ქორი, ქილა, მიწა, დოლი.**



## ლალის ფოსტა



**კუდრაჭაამ სოფელში დეიდაშვილს ეშმაკური ბარათი გაუგზავნა.**
**ლალიმ ბარათს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. დაეხმარეთ ლალის ბარათის წაკითხვაში.**

ომეჩ ილალ!

არ აიგრაკ, მორ ილუხფაზ აგდად.
ელამ ლავომაჩ ეზბეგედადრა.
ენცოკიმად აიბებ.
იშეყტ ეზოკოს თედივაწ.

ინეშ აჭარდუკ.

ყდაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის 53-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, პ/მგ მდივნის — 93-41-30 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19, 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 31/IV-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 167.100. შეკვ. № 935. „Дила" № 6. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.



**კოსმოსში**
ნოდარ ლაპარტყავა. 12 წ.



**ახალი თბილისი.**
აკაკი კახიანი. 11 წ.



**მთის სოფელი.**
ქეთო ქაჯაია. 10 წ.

644/85
ეროვნული ბიბლიოთეკა
76055